№ 91 9 მკათათვე, შაბათი 1866—1877 9 მკათათვე, შაბათი № 91

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ: ცალკე ნომერი ერთ-ერთ ფურცელზე—2 კაპ., სამ-ოთხ ფურცელზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციტეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲐᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲔᲑᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ)

ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲗᲐᲜ, ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ)

„ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ“ თამბაქოს მაღაიზაში (ᲡᲣᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ).

„ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ“ სარდაფში (ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ)

ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ თამბაქოს მაღაზიაში ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ)

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ).

ᲯᲘᲛᲨᲘᲠᲝᲕᲘᲡ თამბაქოს მაღაზიაში (ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲡᲕ. ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ (ᲑᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ).

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(„ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ)

ᲥᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲐ, 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲯᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲣᲚ-ᲕᲔᲠᲘᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲑᲐᲜᲐᲙᲓᲐ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲮᲐᲯᲘ-ᲕᲐᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲒᲐᲡ. ᲑᲣᲨᲘᲜ ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲧᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲡ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜ ᲯᲐᲠᲗᲐᲜ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲪᲮᲐᲠᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ. ᲛᲢᲔᲠᲘ ᲣᲙᲣ-ᲔᲐᲥᲪᲘᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲗᲐᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲐ.

ᲝᲚᲗᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲘᲜᲐᲕ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 (19) ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Standard“ თხოულობს, რომ ახლავე, სანამ რუსები ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲐᲛᲓᲘᲜ მიეიდოდნენ, მანამ გამოაცხადოს ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ, რომ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ კარებთან რუსებს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ჯარი დახვდება წინააღ. ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ შესაძლებელი არისო, რომ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ საზოგადო ომი თავიდამ აიცილოსო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 6 (18) ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲡᲔᲕᲤᲔᲢ-ᲤᲐᲨᲘᲡ მაგიერად ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ᲐᲘᲠᲘᲤ-ᲤᲐᲨᲐ. ᲡᲔᲕᲤᲔᲢ-ᲤᲐᲨᲐ საზოგადო მუშაობის მინისტრად არის დანიშნული. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ სამხედრო მინისტრს ᲠᲔᲓᲘᲤ-ᲤᲐᲨᲐᲡᲐᲪ გამოცვლიანო. ᲓᲣᲜᲐᲘᲡ არმიის მთავარსარდლის ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲛᲔᲠᲘᲛ-ᲤᲐᲨᲘᲡ გამოცვლაზედაც ლაპარაკობენ. ᲐᲛᲘᲡ ალაგას, ამბობენ, ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡ ნიშნავენო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 (18) ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲛᲔᲠᲘᲛ-ᲤᲐᲨᲐ წინ მოდის რუსის ჯარების შესაგებებლად. ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲝᲡᲐ და ᲡᲘᲡᲢᲝᲕᲝᲡ შუა გაცხარებული ბრძოლაა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 7 (19) ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა ᲡᲔᲕᲤᲔᲢ-ᲤᲐᲨᲐᲛ თავის თანამდებობა, ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ბრძანებით, ᲐᲐᲠᲘᲤ-ᲤᲐᲨᲐᲡ გადასცა.

ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐ ᲐᲑᲓᲣᲚ-ᲛᲔᲠᲘᲛ-ᲤᲐᲨᲘᲡ მაგივრად არის დანიშნული ᲓᲣᲜᲐᲘᲡ არმიის მთავარ-სარდლად.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

მუხა-ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲓᲐᲛ მიღებულს „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ, სხვათა შორის, შემდეგი სტრიქონები არის დაბეჭდილი ქობულეთლებზე:

„ᲘᲛᲐᲗᲘ (ქობულეთლების) ᲩᲕᲔᲜᲓᲐᲛᲘ ᲛᲢᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ: ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲐᲜᲐᲢᲘᲖᲛᲘ, ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ და ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲐᲨᲐᲛ თითოეულ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲔᲚᲡ თვეში თუმანი დაჰპირდა, თუ ისინი რუსების წინააღმდეგ გაელენ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲛᲐ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ წაართვეს ბეით.

„ᲐᲛᲐᲡ გარდა ამათგან ომში მონაწილეობის მიზეზი ის გარემოებაც გახლავთ, რომ ადრინდელ ომების ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲗ ისინი დარწმუნებული არიან, რომ რუსები იმათ ქვეყანაში სტუმრებად უნდა ჩაითვალონ: დღეს აქ არიან, ხვალ ისევ წავლენო, და თუ ჩვენ ახლა, ამ ომის დროს, იმათი მხარე დავიჭირეთ, როცა ისინი წავლენ, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ აგვიკლებენო.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ამ ზემო-მოყვანილ მიზეზებს გარდა, ქობულეთლები იმიტომაც კიდევ იბრძვიან ჩვენ წინააღმდეგ, რომ იმათსა და რუსის ქართველებს (გურულებს) შუა დიდი ხნიდგანვე მტრობა და განხეთქილება სუფევს.“

ᲔᲡ ძალიან ძნელი სათქმელია, თუ რა მიზეზის გამო ებრძვის ერთი ხალხი მეორეს. ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ სხვა-დასხვა ხალხებს შუა განხეთქილება ჰსუფევს, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ფულისა და სარწმუნოების გულისთვისაც ებრძვიან ხალხები ერთმანერთს; მაგრამ უმთავრესი მიზეზი ბრძოლისა რომ ეს იყოს, ამის თქმა არავის არ შეუძლიან, განსაკუთრებით აქ, ჩვენში, სადაც ქობულეთლებსა და გურულებს შუა მუდამ მისვლა-მოსვლა და მეგობრული დამოკიდებულება არის და არა მტრობა, როგორც კორრესპონდენტი ამბობს.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ პირველი, ყველაზე უმთავრესი და ადვილად გასაგები მიზეზი ხალხების ერთმანერთის ბრძოლისა ის არის, რომ ამ ხალხებს ბრძანება აქვთ მიღებული—იბრძოლეთო და ესენი იბრძვიან:

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ „ᲰᲐᲕᲐᲡᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐᲨᲘ“ იწერებიან, რომ ᲖᲐᲘᲛᲘᲡ ახლო-მახლო სადმე მალე ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡᲐ და ᲠᲣᲡᲘᲡ ჯარს შუა შეტაკებას მოელიანო. ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთის სიტყვით, აქ რუსების მხრით 40,000 კაცია მოგროვილი და ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲡ ეყოლება, თავის საკუთარ ჯარს გარდა, ᲣᲐᲠᲡᲘᲡ გარნიზონი, რომელიც იმ დროსთვის გამოვა ამ ციხიდამ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ამბობენ, ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲣᲐᲠᲡᲗᲐᲜ 50,000 კაცი ჰყავს რეგულიარული ჯარი და კავალერია; ამას გარდა თვითონ ᲣᲐᲠᲡᲨᲘ 20,000 კაცამდინ არის გარნიზონი. მაშასადამე ამ შეტაკებაშიაც, თუ რუსებს ახალი ჯარი არ მოუმატეს, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი რიცხვით ბევრად გადაემეტება ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ არმიას.

ოსმალოს უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა 26 ივნისს ოსმალოს ელჩებსა.

„მე გაცნობებთ თქვენ ის ბარბაროსობა, რომელიც რუსის ჯარმა ჩაიდინა საცა კი ჩადგა ფეხი ბოლგარიაში, ევროპის ბრძოლის ველზედ. ახლა აზიიდამაც ამაზე ნაკლებ სამწუხარო ამბებს არ გვაცნობებენ. სოხუმიდამ მოგვივიდა ოფიციალური ცნობა, რომ ამ მაზრაში 1,500 ბაჰმადიანი ქალი, კაცი და ბავშვები დახიზნულან ტყეში, რადგან რუსის ყაზახებისაგან წვალებისა და დახოცვის შეშინებოდათ. ყველა ეს ხალხი შიმშილით დაიხოცა ტყეებში.“

„რუსის ჯარმა, რომელმანც არდანუჯი დაიჭირა, თავის დაბრუნების დროს, დახოცა 50 ქალი და კაცი და გზაზე რამდენიმე სოფელი გადასწვა. უჩ-ქილისის სომხის ეპისკოპოსს სტაცეს ხელი, დაატყვევეს. შეთოკეს და ასე წაიყვანეს რუსის სალდათებმა. მე გთხოვთ ყველა ამ შემთხვევაზე მიაქციოთ ყურადღება იმ მმართველობისა, რომელთანაც თქვენ ოსმალეთის წარმომადგენელად ხართ დანიშნული.“

რასაკვირველია, რომ აქ მოხსენებული შემთხვევები სანახევროთ, სამეათედოთ არ არიან ნამდვილნი და ყურადღების ღირსნი, ამბობს ამ ცირკულიარის მოყვანის შემდეგ ერთი რუსული გაზეთი.

—

ინგლისის პარლამენტშიც მოლაპარაკება იყო კიდევ იმ ბარბარისობაზე, რომელიც ვითომც რუსის ჯარს ჩაედინოს ევროპისა და განსაკუთრებით აზიის ბრძოლის ველზედ. ინგლისის გარეშე ქვეყნის საქმეთა მინისტრის ამხანაგს— ბორეს უთქვამს, რომ ტრაპიზონში მყოფმა ინგლისის ელჩმა მიიღო კერძო წერილი სოხუმიდამაო, რომელშიაც მოხსენებული იყო რუსის ჯარებისაგან ჩადენილი სხვა-და-სხვა ბარბარისობა; მაგრამ ამ საგნის შესახებ ჩვენ სხვა არავითარი ოფიციალური ცნობა ჯერ არა გვაქვს-რაო.

—

პარტაანის აღებისათვის, ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი ჯილდოები დაურიგა ამ საქმის მოთავეთ: ღენერ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვსა და ღენ.-ლეიტ. დეველ. წმ. ბიორგის ჯვარი მესამე ხარისხისა, ღენ.-ლეიტ. ზეიმანს—ოქროთ და ბრილიანტებით მოჭედილი ხმალი ზედწარწერით „მხნეობისათვის.“

—

„მოსკოვის უწყებებში„ დაბეჭდილია თფილისიდამ მიღებული ამბავი, რომ ვანში ქურთებმა ბევრი სომხები დახოცეს. სომხის პატრიარქმა ნერსესმა (?) სთხოვა ოსმალოს მთავრობას, გამოძიება დანიშნონ და სამართალში მისცენ ის პირნი, რომელთაც დახოცეს ქრისტიანებიო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია ტურნ-მაგურელიდამ 20 ივნისს გამოგზავნილი შემდეგი კორრესპონდენცია:

„დუნაიზე, მდინარე ალუტის სათავის ახლო, ოსმალოს მონიტორმა დიდათ აწვალა რუსების ნაღმის მატარებელი ნავები. ეს მონიტორი დადიოდა დუნაიზე, ყუმბარებს ისროდა და ხშირად ანგრევდა აშენებულ ბატარეებს.

„რუსებმა გადაწყვიტეს ამ მონიტორის გაფუჭება და ამ განზრახვით გაგზავნეს ოთხი ნაღმის მატარებელი ნავი. ესენი დაიმალნენ ერთ კუნძულის უკან, რომ როცა ის მონიტორი გამოივლის, დაეცნენ და აფეთქონ. მაგრამ ის ხომალდი იმ ნაირათ არ იყო მომართული, როგორც მოელოდნენ რუსები. დიდის სიმარჯვით მოემზადა დასაცველათ ისე, რომ რუსები გაკვირვებული არიან და დიდის აღტაცებით ლაპარაკობენ მის სიმარჯვეზე. როგორც დაინახეს მონიტორზე მყოფთა რუსის ნავები, დაიწყეს საშინელი სროლა ფრანცუზული სისტემის თოფებით, მიტრალიოზით.

„კაპიტანი ისე მარჯვედ ათამაშებდა თავის ხომალდს, რომ ახლო მიკარება შეუძლებელი იყო რუსებისთვის; თვითონ ის ცდილობდა რუსების ხომალდების დაღუპვას და კინალამ ასრულა კიდეც.

„ოსმალოს მონიტორის კაპიტნათ იყო ინგლისელი მაღალი, მოსული კაცი, გრძელი, წითელი წვერით. ის იდგა ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი და სრულებით მშვიდობიანათ აძლევდა ბრძანებას.

„ერთ საათზე მეტი ცდილობდნენ ნაღმის ხომალდების მიახლოებას და აფეთქას, მაგრამ მათი ცდა ფუჭი იყო; მოხდა იმ გვარათ, რომ ერთი რუ ების ნაღმის მატარებელი ნავი იყო წყლის ნაპირს და ოსმალოს მონიტორს შუა ისე, რომ მონიტორის ცხვირი გაღმა მხარეს იყო; კაპიტანმა გასცა ბრძანება, რომ უკან დაეწიათ ხომალდი, ურდოდა, რომ რუსის ხომალდი მიეჯახა ნაპირზედ; ამ დროსვე ამ რუსის ნავის მაშინისტი დაიჭრა ისე, რომ თითქმის შეუძლებელი ძეიქნა იმის დახსნა. ამ დროს ერთი მატროსთაგანი გადახტა წყალში, ხელი ჰკრა ნავს და გასწია იქით. ერთი რუ ის აფიცერიც გადახტა ნაპირას და რომ დაინახა მონიტორის კაპიტანი, ისე მშვიდობიანათ მდგომი, ამოიღო რევოლვერი და სამჯერ ე როლა. კაპიტანმა პასუხათ ღიმილით მოიხადა ქუდი და მისცა სალამი იმის ნიშნად, რომ მშვიდობით და უინებელად არის. ბოლოს, მგონი, ეს კაპიტანი ან დაიჭრა, ან მოკვდა იმიტომ, რომ აღარ სჩანდა ხომალდზე. პატარა ხანს იქით თითონ მონიტორიც დაიმალა.“

—

„ჰავასის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ ოსმალეთისა და ჩერნოგორიის მმართველობას შუა მორიგებაზე არის მოლაპარაკებაო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ოსმალოებს სუყველა გასასვლელი ალაგები ბალკანის მთებისა ისეთნაირად აქვთ გამაგრებულიო, რომ რუ ის ჯარი მაგრე ადვილად ვერ შეიძლებს მაგ მთებზე გადასვლასაო.

—

ნემეცური გაზეთი „Neue Freie Presse“ გვატყობინებს, რომ ოსმალოები დიდ-ძალ ჯარს აგროვებენ რუსჩუკსა და შუმლას შუა, რადგან ამ ორ ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში რუსებსა და ოსმალეთს შუა დიდ ბრძოლას მოელიანო.

—

წასულ „დროების“ ნომერში დაბეჭდილმა დეპეშამ გვაცნობა, რომ რუსის ჯარს ნიკოპოლი აუღიათ და ამასთანავე 6,000 კაცამდი აქ მყოფი გარნიზონი ტყვედ აუყვანიათ. ეს გარემოება, დუნაიზე გადასვლის შემდეგ, ყველაზე უფრო შესანიშნავი გარემოებაა ამ ახლანდელს ბრძოლაში და ორ-სამ დღეში სამზღვარ გარეთის გაზეთები, უეჭველია, ჩვენ მოგვიტანს სტამბოლში მღელვარებისა და დიდი შთაბეჭდილების ამბავს, რომელსაც ამ ამბის შეტყობა აღძრავს იქ.

—

რუსის ჯარის დუნაიზე გადასვლისა და სისტოვოს აღებას ძალიან აუღელვებია სტამბოლისა და სხვა ოსმალოს ქალაქების მცხოვრებლები. აბდულ ჰერიმ-ფაშის გამოცვლას თხოულობენ, რადგან დამარცხებას იმის უთაობას აბრალებენ.

აბდულ-ჰერიმ-ფაშამ მოითხოვა თურმე სტამბოლიდამ რაც-კი იქ თავისუფალი ჯარია; იმის გამო ხონთქარს 15,000 კაცი თავის საკუთარი გვარდია ვამოუგზავნია ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. ამ გვარდიის ერთი ნაწილი აბდულ-ჰერიმს ადრიანოპოლში დაუყენებია და მეორე ვარნაში.

საქართველო

დღიური

*** ეს ერთი თვე იქნება, რაც ქალაქში თითქმის ერთი წვეთი წვიმაც არ ჩამოვარდნილა და საშინლადაც ცხელა. საქართველოს სხვა ალაგებიდამაც გვწერენ, რომ გვალვა არის და თუ ამ ერთ-ორ კვირას წვიმა არ მოგვეშველა, ცუდათ იქნება ჩვენის მოსავლის საქმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამისოთაც ბევრი მუშა და მხნე ხალხია, სულ ლაშქარში არის გაყვანილი, მიწის მომუშავე ცოტაღა დარჩენილა ჩვენში და თუ ამას კიდევ ეს გვალვა და ცუდი ამინდები დაემატა, რაღა თქმა უნდა, რომ წლევანდელი წლისაგან ხეირს არ უნდა მოველოდეთ.

*** კიდევ მოგვდის ქალაქის მცხოვრებლებისაგან საჩივრები ზოგიერთ ქუჩების ბაზრებისა და მაედნების უსუფთაობაზე. ზოგიერთს ვიწრო ქუჩებში და ბაზრების მახლობელ სახლობებში ახლავე დაიწყო სხვა-და-სხვა ავათმყოფობა, განსაკუთრებით ყმაწვილებისაო და თუ ყურადღება არ მიაქციეს, თუ ეს სიცხეები ასე გაგრძელდა და დამპალი ხილის შემოტანა და გაყიდვა არ აუკრძალეს, ხალხის ჯანმოელობას წელს დიდი განსაცდელი მოელისო.

*** ჩვენ ჩაგვივარდა ხელში იმერეთის ერთი უფროსიდამ მოწერილი კერძო წერილი, რომელშიაც ზოგიერთი ყურადღების ღირსი ამბებია მოყვანილი და რომლის დაბეჭდვასაც ამის გამო წიგნის პატრონი მოგვიტევებს:

„ჩვენი სასწავლებლის ამბავის მოწერას მთხოვდი. რა მოგწერო, ძმაო? მართა გათხოვდა და იქნება ამას იქით მაინც წავიდეს სასწავლებლის საქმე კარგად. ხომ იცი სმოტრიტელმა როგორი დავიდარაბა აუტეხა თავის თანაშემწეს, იმის შერთვაზე რომ უარი უთხრა: ის გაეცალა სასწავლებელს. შემდეგ გადაეკიდა ერთ მასწავლებელს, რომელსაც თანაშემწის ადგილის შოვნას დაჰპირდა. იმან თანაშემწეს ადგილი ვერ იშოვნა და არც მარო შეირთო. იქამდისინ მიაწია, აყალმაყალმა, რომ ორჯერ რევიზორიც მოვიდა ამბავის შესატყობელად, მაგრამ რამდენი ვერავინ ვერა შეიტყორა. დატრიალდა ამ უმფროსის სიდედრი; არ შეიძლება ჩემს მაროს კაცი არ უშოვნოო! შეიქმნა ერთი უშველებელი ამბავი. ნახეს ერთი ვინმე სუსტი კაცი და უარრე, ან თანამდებობაზე ხელი აიღე, ან მარო შეართეო. მეტი ილაჯი არ ქონდა, შეირთო.

„არ ვიცი როგორ წავა ახლა სასწავლებლის საქმეს. შაგირდებს დედა ენა ავიწყდებათ და ბერძნულს კი სწავლობენ. მიკვირს რატომ არ ასწავლიან თათრულ ენა?

„რ ვ ზორი იყო აქ, მაგრამ... ჰე არა ღირს მაზე თქმა. ნეტავი ეხლანდელ დროში ბრმას და ყრუს, რომ ეხლანდელი დროის ამბავებს არც ხედავ და არც ეყურება! ყველიფერ შემთხვევაში მკედრებს, რომ ყურადღებას აქცევენ იმდენს ცოცხლებს არა: დაჭრილების სასარგებლოდ ბევრი ფულები გროვდება. ამბობენ ერთს უეზდიდ უფროსს გლეხებში 3,000 მანეთი შეუკრებია. ამბობენ, ეს ფულები ასე ნებით შეუკრებიათ გლეხებში, როგორც ძუთაისის სიშორის ასაშენებელი ფულები შეკრიბეს მიროვის პოსრედნიკებმა.

„შკოლების საქმე საზოგადოთ, როგორც დირექტორისაგან დარიგებული მოწმობაებიდგან სჩანს, ჯერეთ „შავათ“ და „მწვანეთ“ მიდის.

„ომბულეთის მხედრობის უფროსი დღეს აქ არის; წელს საზაფხულოდ აქ რჩება.

„ახირებულად არიან ზოგი ერთები ამ ომისაგან შეშინებულნი: შორაპნის უეზდის ლესნიჩი ზორის უეზდში დაბინავებულა და აქედამ უნდა ეთრიონ ვისაც საქმე აქვსთ მასთან. მიკვირს, თვითონ თფილისელია და რატომ თფილისში არ დაბინავდა!

„შეწუხებული ვართ, რომ გაზეთებიდამ ნამდვილი ამბავები არ მოგვდის ომის ველიდამ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენი მილიციონერები ბრძოლაში როგორც იჭრებიან, შინვე უშვებენ და უფრო ნამდვილს გვეუბნებიან. ბევრი გასაოცარი ამბები გვითხრეს ძაჯეთის ციხის ციხის-ძირის სიახლოვეს მომხდარის ომისა. აი მართლა და ძაჯეთის ციხე...“

*** ერთი ახირებული ამბავი გვითხრეს ჩვენ ქავთიხევის მღვდლისა: რომელიც კანონია თურმე რომ თუ რომელსამე, სოფელში ახლად დანიშნულს მღვდელს ამ სოფელში თავის საკუთარი სახლ-კარი, არ გააჩნია, თვითონ სოფელმა უნდა მისცეს, უნდა ათხოვოს სახლი. ამ წესის ძალით, ქავთიხევის მღვდლისათვისაც მიუციათ დროებით ერთი გლეხის სახლი, რომელშიაც ათი წელიწადი იდგა. შემდეგ ეს მღვდელი გადაცვლილა; ახლა იმის შვილს რგებია მემკვიდრეობით ამავე სოფელში მღვდლობა. ორი წელიწადია, რაც ეს მეორე მღვდელი ამავე სახლში დგას და წელს სახლის პატრონმა გლეხმა სთხოვა თურმე ხსენებულ მღვდელს, რომ, მამაო, თუ შეიძლება, ეს სახლი რომელშიაც თორმეტი წელიწადია მუქთათ დგარხარო, დაგვითმეთო. აბა, მიხვდით—რა უპასუხა მღვდელმა ამ გლეხის კანონიერს მოთხოვნილებაზე?—რა და ის რომ, რადგან ეს სახლი თორმეტი წელიწადია რაც ჩვენს ხელშია, რადგან კანონით დადებული ხნოვანობა (10 წელიწადი) შესრულდა, რაც ვფლობთ ამ სახლს, ამის გამო ახლა ეს სახლი სრულებით ჩემი საკუთრება არისო!..

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. უდე, (ახალციხის მაზრის). ბატონო მეგაზეთეე! ამ წელს ჩვენს მღვდელს ბიხალოვს გაზეთი მოსდის და ზოგჯერ გავიგონე ამისაგან, რომ, თუ რამ ახალი ამბავი მოხდებაო, გაზეთში დასწერენო. ამის გაგონებით მეც თავი მოვიგიჟიანე, გავბედე და გთხოვ რომ მისმინო და ესე ჩემი ნალაყბი დასწეროთ—ჩვენი ესე სამ გზის თავს გადასავალი უბედურობა.

პირველი ეს არის, რომ ამავე წელს მაისის თვეში, (თვის სათვალავი აღარ მახსომს), ერთ დილით გათენებისა ჩვენს სოფელს ძალზედ ახლოს ერთი საშინელი შემთხვევა მოხდა:

ერთი დიდი გრიალით ადგილი მოსკდა და ჩავარდა დაბლათ, რამდენიმე თესული ყანების ნაპირებიც წაიღო! ამ ადგილის სივრცე და სიგანე ვგონებ იქმნება 200 საჟენზედ მეტი. ეს შემთხვევა რომ მოხდა, იმ დროს არ იყო მიწის ძვრა, არც ავდრიანობა და არც-ღა იყო უსაფუძვლო ადგილი. რა მიზეზით მოხდა და რისაგან—არ ვიცით. ერთი დიდი შიში კი აღძრა ამ გარემოებამ ჩვენში.

მეორე შემთხვევა უფრო საუბედურო, ამ ივნისის 22-სა მოხდა. ნასადილევის შემდგომ გაჩნდა ერთი უეცარი ღრუბელი და შენი მტერი რომ ჩვენ ცეცხლი მოგვფინა: ერთი საათის განმავალობაში ისეთი საშინელი სეტყვა იყო, რომ აღარაფერი დარჩა ხეხილი, ყანა, ჭალა; თუ რამ სეტყვამ დააკლო, საშინელმა ქარიშხალმა და ღვარნაშმა მოგლიჯა და წაიღო. ყანები ერთობ დაგვისილა და ესე უბედურ ხალხი წყალს მიგვცა. მომავალი წლისა სარჩენი აღარ საიდგან აღარ მოგვეძევა; არ ვიცით—რით ვარჩინოთ ჩვენი ცოლ-შვილი.

მაგრამ ამ შეუბრალებელმა განგებამ ამ ორ ჭირსაც არ დაგვაჯერა, მესამე უფრო საოცარი შემთხვევა მოგვეფინა: ამავე თვის 26-სა, საღამოს ჟამსა ერთი ყაზახი გამწარებული მორბოდა. მივაძახეთ, რა ამბავია-მეთქი?—ჰე მუჟუკ, თურქ-ჭარ იდიოთო!—საითაო, ზ ნაკომჯან.—აჰა, ტუდა გორაო! შევეკაველეთ, ვაი, ბიჭებო, არ იქმნა აჭარელმან ერთობ ცოლ-შვილით ტყვეთ წაგვიყვანესო!

ი ე შინი მტერი, რომ ჩვენ დავიხოცენით. ბატონო: ქალებს გულს შემოეყარათ, ბავშვებმა შეჰქმნეს ტირილი. რა გვექმნა—არ ვიცოდით, რომელს წყალში ჩავცინულიყავით, გზა ვეღარ სად ვერ გავიგნეთ და მიუცვინდეთ ჩვენს მღვდელს: ბატონო, რა ყური წაგიდიათო, გვიშველე რამ, დავიღუპეთო! ამ დალოცვილის დარიგებამ პატარა დაგვაყუდრა: ნუ შეგეშინდებათო, ღმერთი მრავალ-

მოწყალეაო, იმან იფიქროს ჩვენთვისო; არ მიგვცემსო. ეკლესიის კარები გაალეთ, ვილოცოთო, რომ მოგვარჩინოს ამისაგანო.

ამ ტირილში და ზოგჯერ ლოცვაში გათენდა. უეცრათ შევხედეთ, რომ მარლეს სოფლის მოსასვლელი გზიდამ ჯარი გაჩნდა. ამ ჯარის დანახვით თათრებმა ყურები შეცქვიტეს: თურმე თათრის ჯარი ეგონათ. დაიწყეს ფრენა, წინ ეგებებოდნენ და როდის მოახლოვდნენ შენი მტერი, რომ იცნეს რუსის ჯარი იყო, თურმე ქვაბლიანისაკენ გარბოდნენ.

უდელი

ნარევი

უკანასკნელის სტატისტიკურის გამოანგარიშებით, ინგლისს ჰყავს ამ ჟამად სულ 208,920 მეომარი კაცი; ამაში 17,920 ცხენოსანი და 28,000 არტილერია. ამ რიცხვიდამ 66,000 ინგლისის ინდოეთში არიან და 35,000 ინგლისის სხვა სამფლობელოში; დანარჩენი 107,000 თვითონ დიდ ბრიტანიაში და ირლანდიაში არიან განაწილებულნი. ამას გარდა ინგლისს ჰყავს 109,000 კაცი მილიცია და ერთი ამდენზე მეტი ვოლონტერები შეუძლიან გამოიყვანოს, თუ საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ვოლონტერები ვალდებულნი არ არიან, რომ დიდ ბრიტანიის გარეთ წავიდნენ სადმე საბრძოლველად; იმათ მხოლოთ თავის ქვეყანა უნდა დაიცვან.

***

პარიჟის მედიცინის შკოლაში ამ 1877 წლის განმავალობაში 22 ქალი სწავლობდა ექიმობის მეცნიერებას; ამათში 9 რუსია, 2 ფრანცუზის ქალი, 1 პრუსიელი, 8 ინგლისელი და 2 ამერიკელი; 9 რუსის ქალში ერთმა, აკუნკოვის ქალმა, როგორც ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში მოყვანილი. წელს გაათავა სწავლა და დოქტორობის ხარისხი მიიღო.

***

ლონდონის უნივერსიტეტის რჩევას გადაუწყვეტია, რომ ის არ მოუცდის იმ დროს, სანამ ამ უნივერსიტეტში ცალკე ფაკულტეტი გაიხსნება ქალებისათვის, ის ახლავე მისცემს დოქტორობის დიპლომს იმ ქალებს, რომელნიც მედიცინიდამ ჯეროვან ეგზამენს დაიჭერენ.

განცხადებანი

პარიჟელ ახალგაზდა ქალს ჰსურს აძლიოს უროკები ფრანცუზულის ენის გრამმატიკისა და ლაპარაკისა.

მსურველს ადრესის შეტყობა შეუძლიან „დროების რედაქციაში“, აგრეთვე ჰოჯორში, ბელაევის სახლებში, საცა ღენერალის მორენცის ოჯახობა დგას.

(4—3)

იბეჭდება ლექსი

თ. ი. ზ. ძის ჩოლაყაშვილის

გარდაცვალებაზედ

თქმული დავით ბივიშვილისაგან

ამ ივლისის თვეში გამოვა სტამბიდამ და გაისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში.

(3—3)

ისყიდება

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, გიორგი მეფისა, კათალიკოზისა, ალბულასი, ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფ ა ს ი ს გაგება შეიძლება ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

(3—4)

საქართველოს და იმერეთის სომეხთ ეპარხიალნის კონსისტორია განაცხადებს ამითა, რომელ თავის პრისუტსტვიაში მომავალს ივლისის 13-სა დანაშნულ არის ტორგი და იმავე თვისა 15-სა პერეტოჟკა **იჯარით** გაცემისა გამო **ურთაჭალის ბაღისა**, რომელიც ეკუთვნის ეჩმიაწინის მონასტერსა და ტფილისის ნერსისიანის სასწავლებელსა.

წევრი-მღვდელი **სარქის ალაჯანიანი**

სეკრეტარი **ბეკმაკოვი**

(3—3)

ისყიდება ქვემო-მოყვანილი **ქართული წიგნები:**

1) ერთი წლის „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ო ა მ ბ ე“ ყდაში, 2) გ ე ო გ რ ა ფ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი მეფე ვახუშტისა, 3) მ ი წ ე რ-მ ო წ ე რ ა ქართველთ მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთანა, 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული ს ლ ა ვ ა რ ი, 5) ძ ვ ე ლ ი ა ღ თ ქ მ ა, ვენეციაში დაბეჭდილი 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული ს ლ ა ვ ა რ ი, 7) კ ა ლ მ ა ს ო ბ-იოანე ბატონიშვილისა, და პლატონ იოსელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „ც ი ს კ ა რ ი“ დაარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

ფასის გაგება ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

პ რ ი ს ი ა ჟ ნ ი ს პ ო ვ ე რ ე ნ ი

რიმსკი-კორსაკოვი

კისრულობს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა.

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აკ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აზ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 6 ივლისს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 264 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	211	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	210	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
კავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი, 8 ივლისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
გაპენტილი ბამბა ფთ.	7	80
მატყლი თუშური ფთ .	6	—
—თარაქამისა ფთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, გროც. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	94

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюля 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი